0179, თბილისი, ფალიაშვილის 27/29, II სართული
ტელ.: 2 29 27 73 / 2 22 38 74
greenalt@greenalt.org

04/09/01-159
10 სექტემბერი, 2015

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს
ქალბატონ თამარ ოქროპირიძეს

ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას
აღმასრულებელი დირექტორის
ნინო გუჯარაიძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 აგვისტოს განჩინებით (საქმე #6670-15) მოსარჩელე ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას მიერ 20 აგვისტოს წარმოდგენილ ადმინისტრაციულ სარჩელზე დადგენილი იქნა ხარვეზი. კერძოდ: წარმოსადგენია საქართველოს მთავრობას, სს"სახელმწიფო ელექტროსისტემას", სს"ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორს" და სს"ონის კასკადს" შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანი.

მიგვაჩნია, რომ სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინებით დადგენილი ხარვეზი არ გამომდინარეობს მოქმედი ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და ადასტურებს იმ გარემოებას, რომ სასამართლომ ზერელედ, ზედაპირულად შეისწავლა წინამდებარე სარჩელი და თანდართული მტკიცებულებები, ვინაიდან:

1. საქმეზე წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2015 წლის 12 აგვისტოს #04/3059 წერილით დადასტურებულია, რომ ქართულ ენაზე შესრულებული სადავო ადმინისტრაციული ხელშეკრულება სამინისტროში არ მოიპოვება.
2. სწორედ ეს ფაქტი გახდა სარჩელის წარმოდგენის მიზეზი და მხოლოდ ამ ფაქტის დასადასტურებლად ერთვის სარჩელს დადებული ხელშეკრულების ასლი.

იმის გათვალისწინებით, რომ სადავო ადმინისტრაციული ხელშეკრულება ადმინისტრაციულ ორგანოსა და საქართველოს კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის დადებულია მხოლოდ ინგლისურ ენაზე და სწორედ ამ საფუძვლით მოვითხოვთ წინამდებარე ხელშეკრულების ბათილად ცნობას სასამართლოს მხრიდან ამ პირობებში ხარვეზის დადგენა იმის შესახებ, რომ

წარმოსადგენია ქართულ ენაზე შესრულებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება უსაფუძვლოა, კანონსაწინააღმდეგო და უხეშად არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს სამართლიანი სასამართლოს შესახებ.

მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული განჩინებით დადგენილი ხარვეზის შევსების მიზნით სასამართლოს მიერ განსაზღვრული 10 დღიანი საპროცესო ვადის დაცვით წარმოგიდგენთ გასაჩივრებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი და მე-19 გვერდების ნოტარიულად დამოწმებულ ქართულ თარგმანს, რომლითაც დადასტურებულია გასაჩივრებული ხელშეკრულების სწორედ ამ სუბიექტებს შორის მხოლოდ ინგლისურ ენაზე დადების ფაქტი.

დანართი: სულ “ “ ფურცელი

1. 2015 წლის 16 ივლისს დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი და მე-19 გვერდების ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე

აღმასრულებელი დირექტორი